ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7334948

ნომერი: AR11071533

თარიღი : 24.12.2024

გაცემის თარიღი : 27.12.2024

გაცნობის თარიღი : 27.12.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პ.სააკაძის ქუჩა , (ყოფ. ხრამჰესის) , N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა ჩიხრაძე პ/ნ 01003007915
- ქ.თბილისი,q.wamebuli-bochorma, 50/18, bina16

ორგანიზაცია:
- შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი კოდი: 405135820

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 24 დეკემბერს №AR11071533 განცხადებით მომართა ლაშა ჩიხრაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი ჩუღურეთი, პ. საკაძის ქუჩა (ყოფ. ხრამჰესის) №29-ში, №01.16.04.046.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 11 ივნისიდან 2017 წლის 11 აპრილის ჩათვლით.

სამსახურის 2020 წლის 19 მარტის №4906448 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში და აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ღია ავტოსადგომების ფართობი 115.0 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული პირველი სართულის გეგმა (0.00 ნიშნული) ჩანაცვლდა 2020 წლის 4 თებერვლის №AR1732452 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე სართულის გასწორებული გეგმით.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 31 ოქტომბრის №ბ17. 01243051 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები ზემოაღნიშნული მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი).

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი კვლავ ითხოვს სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ისევ ღია ავტოსადგომის 115.0 კვ.მ. ფართობის დამატებას.

სამსახურმა შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში, სამსახურის 2020 წლის 19 მარტის №4906448 ბრძანებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად უკვე დაფიქსირებულია 115 კვ.მ. ფართობი და ჩანაცვლებულია პირველი სართულის გასწორებული გეგმა. შესაბამისად, სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა ღია ავტოსადგომის ფართობთან დაკავშირებით.

რაც შეეხება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 31 ოქტომბრის №ბ17.01243051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად უკვე დაფიქსირებულია 115.0 კვ.მ. ფართობი და შესაბამისად, არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა ღია ავტოსადგომის ფართობთან დაკავშირებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2642274 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.